1129/106

# საბანკო გარანტია # 2264497-2336893

თბილისი

**2013 წლის 10 მაისი**

სს "თიბისი ბანკი", მისი ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის ფილიალის ოპერაციების მენეჯერი ნათია ბექაური სახით, მოქმედებს რჟ წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით :

| | |
|---|---|
| **გარანტი:** | **სს "თიბისი ბანკი"** |
| **პრინციპალი :** | **შპს Unique Learning**<br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 404921545<br>რეგისტრაციის თარიღი: 09/12/2011 |
| **ბენეფიციარი :** | **სსიპ საგანმანათლებო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო** |
| **გარანტიის თანხა :** | **18 885,00 (თვრამეტი ათას რვაასოთხმოცდახუთი ლარი) ლარი** |
| **გარანტიის გაცემის საფუძველი :** | "ბენეფიციარს"და"პრინციპალს"შორის 2013 წლის 02მაისს გაფორმებული #320206/01/66 ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") თანახმად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა საბანკო გარანტიის გაცემა.<br>**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2013 წლის 8 აპრილს N1 და N 2 ხელშეკრულების საფუძველზე .**<br>ბენეფიციარის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით, წინამდებარე გარანტია მისთვის მისაღებია. |
| **გარანტიის გაცემის წინაპირობა:** | გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდება , თანამდევი შენახვის მომსახურების ჩათვლით. |
| **გარანტიის ძალაში შესვლის წინაპირობა:** | |
| **გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება:** | "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საბანკო საგარანტიო წერილის პირობების გათვალისწინებით, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა. |
| **გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება** | გარანტის მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა<br>"პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში:<br>"პრინციპალმა" დაარღვია "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულება.<br>ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ასევე მოთხოვნასთან ერთად გარანტს უნდა წარუდგინოს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში<br>წერილობითი მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენილ უნდა იქნეს სს "თიბისი ბანკის" ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის ფილიალის კანცელარიაში |
| **საგარანტიო თანხის შემცირება:** | საგარანტიო თანხა მცირდება „პრინციპალის" ვალდებულების დოკუმენტალურად დადასტურებული შესრულების პროპორციულად. |
| **გარანტიის მოქმედების ვადა :** | 10.05.2013-დან 06.08.2013-მდე. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე |

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით, თანდართული "ხელშეკრულების" ასლითა და წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #458).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მთაწმინდის ფილიალის ოპერაციების მენეჯერი ნათია ბექაური

JSC TBC BANK MTATSMINDA BRANCH
კანცელარია
CHANCELLERY
007033